**ხელშეკრულება N3-მ**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**(გამარტივებული შესყიდვა)**

**ს. კაჭრეთი** **2023 წელი**

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი "აისი" (შემდგომში _ შემსყიდველი ს/კ 227770800), დირექტორი მალხაზ ასლამაზაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს თერძი, მისი დირექტორის რომან ჩუტკერაშვილის სახით ს/კ404624082 ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, (,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი;**

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების ,,პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების ქვეპროგრამის'' (პროგრამული კოდი 32 03 02 02) ფარგლებში, CPV18300000 ტანსაცმლის სახელმწიდო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1" ქვეპუნქტი)

1.2.ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

| N | დასახელება | საზომი ერთეული | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ფასი | ერთეულის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პოლოს მაისური ორმაგი ბრენდირებით | ცალი | 15 | 45 | 675 | 18333000 |
| | სულ | | | | 675 | |

**2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება;**

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 675 (ექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით, დღგ-ს ჩათვლით.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

**4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი:**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 5 ივლისის ჩათვლით.

4.2. Sაქონლის მიწოდებას მომწოდებელი ახორციელებს საკუთარი ხარჯებით მისამართზე: გურჯაანის მუნიციპალიტეტი ს. კაჭრეთი, სსიპ კოლეჯი ,,აისი''.

4.3 მომსახურების მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენას.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

**6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები :**

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულბის დარღვევისას:**

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის
მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;

**9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:**

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 6 აგვისტო ჩათვლით.

**10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა;**

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი;**

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

**12. ფორს-მაჟორი;**

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები;**

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით^გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ  წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საწყობის გამგე შმაგი გეთიაშვილი.

**14. სხვა პირობები:**

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი:**

სსიპ  კოლეჯი ,,აისი
ს/კ 227770800
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 709147276
მის: საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ს. კაჭრეთი
ტელ:  0 353 200 493
E-mail: kachreti@gmail.com

**მიმწოდებელი:**

შპს თერძი
ს/კ 404624082
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ:  GE49BG0000000528001871
მის: საქართველო, შალვა დადიანის ქუჩა N14
ტელ:  591636562

E-mail: terdzigeorgia@gmail.com

**დირექტორი:  მ. ასლამაზაშვილი**

Malkhazi Aslamazashvili

Digitally signed by Malkhazi Aslamazashvili
Date: 2023.06.29 10:27:32 +04'00'

**დირექტორი:  რ. ჩუტკერაშვილი**

Roman Chutkerashvili 59001119810

Digitally signed by Roman Chutkerashvili
Date: 2023.06.29 13:19:52